საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 4084-02
28/12/2018

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **ბიზნესის სკოლაში ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე** გამოცხადებული კონკურსის შედეგის დამტკიცების შესახებ

”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 1-ლი, მე-6 პუნქტის, 32-ე მუხლის, 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, 2018 წლის 6 მარტის წარმომადგენლობითი საბჭოს მე-2 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების წესის და აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმების პირობების” საფუძველზე, რექტორის 2018 წლის 20 სექტემბრის ,, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **ბიზნესის სკოლაში ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე** კონკურსის გამოცხადების შესახებ“ N2867-02 ბრძანების, ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **ბიზნესის სკოლაში ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე** კონკურსის გამოცხადების შესახებრექტორის 2018 წლის 20 სექტემბრის N2867-02 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ რექტორის 2018 წლის 11 დეკემბრის N3832-02 ბრძანების საფუძველზე, აკადემიური საბჭოს 2018 წლის 4 სექტემბრის N10 და 2018 წლის 25 დეკემბრის N13 ოქმების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1.2018 წლის 28 დეკემბერს დამტკიცდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **ბიზნესის სკოლაში ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით ასოცირებული პროფესორის 2 საშტატო ერთეულზე** გამოცხადებული კონკურსის შედეგი და **ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით ასოცირებული პროფესორის 2 საშტატო ერთეულზე** არჩეული იქნან **ნიკოლოზ ქოიავა და გიორგი ხიშტოვანი.**

2. კანცელარიას დაევალოს ბრძანების გაცნობა ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული პირებისათვის და შემდეგი სტრუქტურებისათვის: ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახური, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახური, ბიზნესის სკოლა.

3.უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს დაევალოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საიტზე.

გიგა ზედანია

რექტორი